შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი-სთვის“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 245431108)

დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბერმელი“ (ს/ნ: 245431108, რეგისტრაციის ნომერი: 900615) „მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 3^3 პუნქტის შესაბამისად 1,000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა).